№ AG22-0591976 D 04.01.2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს
მისამართი: თბილისი, მარჩალ გელოვანის N6

№ 71
10.01.2022
21CD

ქალბატონო ნინო,

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა'' (შემდგომში ,,კომპანია'') განიხილა თქვენი 2021 წლის 7 სექტემბრის N9447/01 წერილი (,,კომპანიაში'' რეგისტრაციის N IN21-0551741; თარიღი: 9.10.2022), რომელიც ეხებოდა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" 110/კ კვ. ქ/ს „საგურამო 2"-ის ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნების მოწოდებას, დაზუსტების მიზნით, განვმარტავთ, რომ „4.4 მგვტ სიმძლავრის საგურამო ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის" პროექტის საქმიანობის განმახორციელებელია **შპს „საგურამო ენერჯი"** და არა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი". 110/კ კვ. ქ/ს „საგურამო 2", მშენებლობა დამოუკიდებლად მოხდა **შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის"** მიერ და აღნიშნული „კომპანია" დღემდე ახორციელებს ქვესადგურის ექსპლუატაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" კუთვნილი „110/კ კვ. ქ/ს „საგურამო 2" არ წარმოადგენს შპს „საგურამო ენერჯის" „4.4 მგვტ სიმძლავრის საგურამო ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის" პროექტის ნაწილს.

როგორც შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისთვის" არის ცნობილი, შპს „საგურამო ენერჯიმ", „4.4 მგვტ სიმძლავრის საგურამო ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის" პროექტის ფარგლებში აღარ მოახდინა ღია გამანაწილებელი ქვესადგურის მშენებლობა. შპს „საგურამო ენერჯის" მიერ მიღებული გადაწყვეტილებითა და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან" შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე, საგურამო ჰესის ელექტროსისტემაში პირდაპირი მიერთება მოხდა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" კუთვნილი „110/კ კვ. ქ/ს „საგურამო 2"-ს მეშვეობით.

ამასთან გაცნობებთ, რომ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ 110/კ კვ. ქ/ს „საგურამო 2“-ის ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიშში გათვალისწინებულია თქვენი მიმდინარე წლის 7 სექტემბრის N9447/01 წერილის მე-3 და მე-4 პუნქტებით წარმოდგენილი შენიშვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ 110/კ კვ. ქ/ს „საგურამო 2“-ის ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს.

დანართი: შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ „110/კ კვ. ქ/ს „საგურამო 2“-ის ექსპლუატაციის პროექტის“ სკრინინგის განცხადების ბეჭდური და ელ. ვერსიები (CD დისკზე) და ასევე, CD-დისკზე shp ფაილები.

პატივისცემით,
ირაკლი ბაბუხადია

გენერალური დირექტორი